

1-18 სტრ., 1r

იანვარსა იდ ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა  
და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოსი გვაკურთხ  
ენ მამაო

მათ ჟამთა ოდეს იწამა ყოვლად ქებული და დიდებული  
მთავარ მოწამე გიორგი კაბადუკიელი მასვე ჟამსა შინა და მასვე ქალ  
აქსა შინა იყო კაცი ვინმე თანა ზიარი და მეგობარი წმიდისა მო  
წამისა ეს კაცი იყო კეთილად მორწმუნე და შვილი მდიდართა და  
წარჩინებულთა და იყო იგი ძლიერი და წარჩინებული და განთქმული  
ბრძოლათა შინა და წყობათა შინა რომლისა სახელი ზაბილონ  
ესე ზაბილონ წარვიდა ჰრომედ წინაშე მეფისა მაქსიმიანესა მსახ  
ურებად და მიღებად პატივისა და ნიჭისა ხ~ იყო კაცი ვინმე  
მისვე ქალაქისა კაბადუკიელი მეცნიერი და მოყვარე ზაბილონისა  
აღესრულა რა კაცი იგი და მეუღლე მისი და დაშთეს მათგან ორ  
ნი ქალნი და წულნი  
და განყიდეს მონაგები მშობელთა მათთა და წარვიდეს წმი  
ნდა ქალაქად იერუსალიმად და თაყვანისცეს განმაცხოველებე  
ლსა საფლავსა და შეუვრდეს უფალსა მზრდელსა მას და მწყალობე  
ლსა ობოლთა და ქვრივთასა და მოილოცნეს წმინდა[...]

1-19 სტრ., 1v

ქალაქნი და ადგილნი და დაადგრეს მუნ და მსახურებდეს ქრისტესა  
ხ~ ყმა იგი მიიწია ჰასაკსა კეთილად ქცევისა მისისათვის პატი  
ვით პატივად აღყვანებულ იქმნა და მიემთხვა პატრიაქობასა ხ~  
და მისი მსახურებდა წმინდასა აღდგომასა და მორჩილებდა სარრა ბეთლემელ  
სა ხ~ ჭაბუკი იგი ზაბილონ რომელი ზემო ვახსენეთ მიიწია ჰრომედ  
წინაშე მეფისა სიმხნისა მისისათვის განაწესა იგი მხედართ მთ  
ავრად ერისა მისისა ხ~ მას ჟამსა იქმნა განდგომილება ფრანგთა ვი  
დრემდის თვით მეფისა მიმართ ბრძოლა ყვეს ხ~ ჭაბუკი იგი ზაბილ  
ონი განვიდა ბრძოლად მათდა და შეწევნითა ქრისტესაითა სძლო და  
იოტნა და მთავარი იგი მათი და წარჩინებული მისნი შეიპყრნა და  
წინაშე მეფისა შეკრულნი მიიყვანნა ხ~ მეფემან პატივი და ნიჭი წინა  
უყო ზაბილონს ხ~ განდგომილთა მათთვის მთავართა განაჩინა  
სიკვდილი მაშინ იწყეს მათ ტირილად და ევედრებოდეს ზაბილ  
ონს და იტყოდეს შეგვიყვანენ ჩვენ ტამარსა უფლისა შენისასა  
და ნათელ გვეც ჩვენ სახელსა მისსა ზედა რომელმან შენ ესევეითარი  
ძლევა მოგანიჭა და ესრეთ რა მოვისრნეთ შენ უბრალო იყო სისხლთ  
აგან ჩვენთა ხ~ მან აუწყა ესე პატრიაქსა ჰრომისასა და პაპსა მან შე

იწყნარა სიხარულით და ნათელსცა და აზიარნა საიდუმლოთა  
[ქრისტეს]თა და თაყვანი სცეს მათ თავთა წმიდათა მოციქულთა და ხვა  
1-19 სტრ., 2r

და ხვალისა დღეს შეიმოსეს შესამოსელი სამკვდრო და განვიდეს ადგილსა  
სასიკვდილსა და სიხარულით მოელოდეს სიკვდილსა ხ~ ზაბილონ ხედ  
ვიდა რა მათ აღიძრა გონებითა და ტიროდა ფრიად და შევიდა წინაშე  
მეფისა და გამოითხოვა იგინი[~~და რქვა მომინიქებია ოგინი~~] ხ~ მეფემ  
ან მიმადლნა იგინი და ჰრქვა მომინიქებიან იგინი შენდა და რაცა გე  
ნებოს უყავ მათ

**მაშინ** ზაბილონ განუტევა იგინი წარსლვად ქვეყანად მათდა და ამცნე  
ვდა რათა არა ოდეს იკადრონ განდგომილება ხ~ იგინი აღუთქმიდეს და  
ეტყოდეს რათა წარყვეს ხ~ მან ისმინა ვედრება მათი და ითხოვნა პაპის  
აგან მღვდელი და წარიტანნა თანა და წარყვა ვითარცა მიეახლნეს  
ქვეყანასა მათსა და ეუწყა ვითარმედ მთავარნი მათნი ცოცხლებით  
მოვლენან ყოველნი რომელნი იყვნეს ქვეყანასა მათსა მოეგებნეს  
სიხარულით წინა მდინარესა მას ღადამარასა და სიხარულით მოი  
კითხეს იგინი და ევედრებოდეს ზაბილონს რათა ნათელ სცეს მათ ყოვ  
ელთა ხ~ მღვდელთა მათ აკურთხეს წყალი და ნათელ სცეს მათ  
ყოველთა და იქმნა სიხარული დიდი მას დღესა შინა ხ~ ზაბილონ  
დაუტევნა მღვდელნი მათ თანა რათა ასწაონ მათ სჯული და  
წესი და იგი წარვიდა ჰრომედ დიდითა ნიჭითა განმდიდრებული ამისა  
შემდგომად განიზრახა გულსა თვისსა რათა წარვიდეს იერუსალიემს  
1-19 სტრ., 2v

და თაყვანი სცეს წმიდათა ადგილთა და საფასე იგი რომელი აქვნდა  
განუყოს მუნ გლახაკთა და ვითარცა მიიწია იგი იერუსალიმს და  
თაყვანისცა აღდგომასა იხილა ყრმა იგი რომელ წარმოსრულ იყო  
ქვეყნით მისით კაზადუკით და პატრიაქ ქმნილ იყო იერუსალიმს  
იცნა იგი და მოიკითხნეს ურთი ერთას დღესა ერთსა ჰრქვა სარ  
რა ბეთლემელმან პატრიაქსა რათა მისცეს და მისი ცოლად და  
პატრიაქმან ისმინა სარაისი და შერთო და იგი მისი ზაბილონს  
**ხ~** მან წარიყვანა მამულად თჳსად კაზადუკიად რომელთაგან  
იშვა მხოლოდ ღირსი ნეტარი ნინო ხეთაგან კეთილთა ნაყოფი  
კეთილი და სათნო ღვთისა და ვითარცა იქმნა იგი ათორმეტისა  
წლისა შეითქვენეს მშობელნი მისნი და განყიდეს ყოველი მონაგები  
მისი და წარვიდეს იერუსალიმად მხოლოდ ასული მათისა თანა  
და მუნ განუყვეს ყოველი სიმდიდრე მათი ხ~ ზაბილონ დაიწერა  
პატრიაქისაგან ჯვარი და შეუტკბო ასული იგი თვისი და სახედ წვიმისა

მოადინნა ცრემლნი და იჯმნა მეუღლესაგან და ასული იგი შევედრა ღმერთსა და დალოცა იგი და მისცა უკუანაისკნ ელი ამბორის ყოფა და ყოვლითურთ ჯმნულმან სოფლისა გან აღილო შური ელიასი და იოვანესი და განვლო იორდანე და არღარავინ უწყის კაცთაგან მან გარნა ღმერთმან მხოლომან 1-19 სტრ., 3r

**მაშინ** პატრიაქმან და მისი სოსანა მისცა მსახურად დედათა უძლურთა ვითარცა იგი თვით ინება მან და ესრეთ აღესრულა სათნოდ უფლისა ხ~ დისწული თვისი ნეტარი წინაშე შევედრა ღვთის მოშიშსა დედაკაცსა რომელი მსახურებდა აღდგომასა და მის თანა მსახურებდა ღირსიცა ესე ნინო და ისწავლიდა იგი საღმრთოსა სჯულსა რამეთუ მეცნიერ იყო იგი ყოველსა ვე განგებულებასა ქრისტეს სახარებასა ნათლის ღებასა ჯვარცმასა და აღდგომასა და სუდრისათვის და ტილოთა და ჯვარი სათვის და კვართისა ხ~ ღირსი ნინო სადაობასა კვართისასა ხ~ იგი ეტყოდა ხვდა იგი წილად ჰურიათა მცხეთელთა ხ~ იგი ეტყოდა სადა არს მცხეთა ხ~ მან რქვა არს ქვეყანა ჩრდილოეთისა და სამკვიდრებელი წარმართთა შორის სპარსთა და ოვსეთისა და ქალაქი არს მცხეთა ესე ყოველი ისწავა რა მადლობა შესწირა ღმრთისა და ყოვლად წმიდისა დედოფლისა ღვთის მშობელისა

**ამას იგონებდა** რათამცა ღირს იქმნა ხილვად ადგილისა მის სადა იგი არს კვართი უფლისა იესოსი და ჟამსა ევედრებოდეს სენაკსა შინა თვისსა ხატსა მას წმიდისა ღვთის მშობელისასა წინაშე მდგომარე რათა განაგოს უმჯობესი სულისა 1-19 სტრ., 3v

მისისა ხ~ ტკბილმან მან და მარადის ნუგეშინის მცემელმან ყოველთა[ ~~ნუგეშინის მცემელმან~~ ] მავედრებელთა მისთა მან სასომან ჩვენმან წმიდამან ღვთის მშობელმან შეისმინა ვედრება მისისა და მოიხსენა წილ ხვდომამ მისი ქართველთა ნათესავისა ოდეს იგი წილ იგდეს მოციქულთა ქვეყანა და ქვეყანა ამი სთვისცა განმზადა ღირსი და წმიდა ნინო მოციქულად და ნეტარ ვართ ჩვენ და სამგზის სანატრელი რ~ ნაწილნი ვართ ყოვლად წმიდისა ღვთის მშობელისანი ხ~ სიტყვა ჩვენი წმიდისა ნინოს განგებათა და საქმეთა მივაქციოთ მათ დღეთა შინა მოვიდა ვინმე დედაკაცი შერაცხილთაგანი ქალაქით ეფესოთ თაყვანისცემად წმიდათა მათ ადგილთა იერუსალიმი

სათა და განყოფად ქვეყნის საქმისა და ვითარცა მოილოცნა  
კვალად წარემართა ქვეყანად თვისად ხ~ ღამესა მას გამოუჩ  
ნდა ღირსსა ნინოს ძილსა შინა წმიდა ღვთის მშობელი  
და რქვა წარვედ ქვეყანად ჩრდილოეთისა და უქადაგე სახარება  
ძისა ჩემისა და პოვო შენ მაღლი წინაშე ღვთისა და მე ვიყო  
მფარველი და ხელის აღმპყრობელი შენი ხ~ იგი ეტყოდა  
შემრწუნებული დედოფალო ვითარ შესაძლებელ არს ეგ  
ჩემ მიერ რამეთუ მე დედაკაცი ვარ უნდო და უსწავლელი  
1-19 სტრ., 4r

ანუ რა იყო სასწაულად საქმისა ამის

**მაშინ** წმინდამან დედოფალმან ჰელი მიჰყო ზედა კერძო ცხედრისა  
მისისა მყოფსა მას რტოსა ვაზისასა და მოჰკვეთა მისგან და შექმნა  
ჯვარი და მისცა ხელთა ღირსსა ნინოს და რქვა ესე იყოს მც  
ველი შენი და ამით სძლო ყოველთა წინააღმდეგომთა შენთა და  
წარემართოს ქადაგება შენი და მე ვიყო შენ თანა და არა დაგ  
იტეო შენ

**ესე რა** იხილა განიღვიძა და აქვნდა ჯვარი იგი ხელთა მისთა  
და ვითარცა განთენა წარვიდა და პატრიაქსა ესე ყოველი მიუ  
თხრა და უჩვენა ჯვარიცა იგი და პატრიაქი განკრთომილი მა  
დლობდა ღმერთსა და ყოვლად წმინდასა დედოფალსა ხ~ წმინ  
და იგი ნინო ევედრა პატრიაქსა რათა თანა წარგზავნოს დედა  
კაცსა მას თანა მთვარისა რომელი წარვიდა ეფესოდ მაშინ წმინ  
დამან პატრიარქმან დედის ძმამან მისმან წარიყვანა წინაშე ქრის  
ტეს ღვთისა ჩვენისა საფლავსა და დასხნა ხელთ ესე ესრეთ  
მეტყველმან

**უფალო** ღმერთო ჩვენო შემოქმედო ცათა და ქვეყანათაო და დამზადე  
ბელო ყოველთა შენ შეგავედრებ ობოლსა ამას დისა ჩემისასა  
და წარვაგლინებ ქადაგებად ღვთაებისა შენისა სადაცა ჯერ  
1-19 სტრ., 4v

იჩინოს სახიერებამან და შენ წარუძელუ და იქმენ თანამოგზაურ ამისა  
და შეზღუდე ესე წმინდათა სულითა შენითა რათა უშიშად ვი  
დოდით შორის ასპიტთა და იქედნეთა და მიუთხრობდეს ჭეშმარი  
ტებასა ღვთაებისა შენისასა რამეთუ დიდებულ ხარ უკუნისამდე ამინ

**და შენ** ყოვლად წმინდაო დედოფალო ღვთის მშობელო სასოო  
ყოველთა შენდა შევედრებულთაო რომელი ესე გამოირჩიე მსახურე  
ბად დიდებისა შენისა მარადის გარე შეიცევ ოხითა შენითა რამეთუ  
აჰა ესერა წარვაგლინებ მინდობითა წყალობათა შენთა ურიც

ხვთა და ვითარცა ესე წვრთნა წმინდამან ნინომ მიიღო პატრია ქისაგან კურთხევა და დაიწერა ჯვარი და წარმოემართა დედაკაცისა მის თანა და ვითარცა მიიწივნეს ეფესოდ შეემთხვივა დედაკაცსა ვისმე მთავარსა სახელით რიფსიმე რომელსა სუროდა სარწმუნოებისა ქრისტეს ღვთისა და წმინდისა ნათლისღებისა

**მაშინ იწყო** სწავლად ნეტარმან ნინო და თვითოეულად წარმოუთხრობდა განგებულებათა ქრისტესთა ხ~ ნეტარმან მან დედაკაცმან ვითარცა ქვეყანამან შეიწყნარა თესლი სიტყვათა მისთა და ნათელ იღო სახელითა მამისა და ძისა და [სწავლასა] და წმიდისა სულისათა და წარიყვანა მის თანა ღირსი ნინო და იყოფოდა 1-19 სტრ., 5r

სახლსა შინა მისსა და მოძღვრიდა და ასწავებდა სჯულსა და მცნებათა სულისა უფლისა ჩვენისა იესოს ქრისტესთა

**ხ~ მას** ჟამსა შინა ინება დეოკლიტიანე რათა იძიოს ყოვლით კერძო ქმნილი კეთილი ქალი რათა შეირთოს იგი ცოლად და წარგზავნა ყოვლით კერძო მეძიებელნი და მხატვარნი რათა სადაცა პოებდენ ქალსა ქმნულ კეთილსა სიტყვისა მიერ აუწყონ მას ხ~ ერთ კერძონი იგი მიიწივნეს ეფესოდ ეუწყა რიფსიმესთვის და ვითარცა იხილეს გამოხატეს და წარგზავნეს წინაშე მეფისა და ვითარცა იხილა ხატი იგი აღეგზნა სიყვარულითა მისითა და მსწრაფლ წარავლინა ჰუნენი და თანა შესამოსლები და სამკაულნი თითო სახენი და უბძანა სწრაფით მოყვანება რიფსიმესი და ვითარცა მიიწივნეს იგინი ეფესოდ ეუწყა რიფსიმეს მისვლა მათი შეუძნდა რიფსიმე ფ~ დ და თქვა გულსა შინა თვისსა არა განვცვალო დიდება იგი საუკუნო წუთ ერთისა ცხოვრებისათვის და არცადა გამოვახო სული ჩემი სასძლოსა მას ზეცისასა

**და არცა** შევაგინო წმინდა ნათლისღება შეუღლებითა უღთოსა მის მძლავრებისათა და არცა ვეცრუო უფალსა ჩემსა ქრისტესა და რქვა გაიანეს დედა მძუმესა მისსა მე წარვალ ამიერ უცხოებად რ~ არა მნებავს საქმე ესე უჯერო ხ~ იგი ეტყოდა უკეთუ შენ წახვიდე 1-19 სტრ., 5v

სასჯელი წინა გვიც უკეთურთა მათ კაცთაგან არამედ წარმოვიდეთ ჩვენცა შენ თანა

**და ესე** რა განიზრახეს მას ღამესა მეოტ იქმნეს და მათ თანა იყვნეს სხვანიცა სახლეულნი დედანი რომელთა რიფსიმესავე თანა ნათელ ელო და ღირსიცა ესე წმინდა ნინო მათ თანავე მეოტ

იქმნა და ვითარცა მოეწივნეს სომხითად სამეფოსა თრდატის  
ასა და რათა იძიოს იგი და ძღვნად დიდად მიუძღვანოს მას  
**ხ~ თრდატ** მოსწრაფებით იწყო ძიებად და ეუწყა ყოფა მათი  
საწნეხელთა შინა და ბრძანა მიყვანება მათი მის წინაშე და  
ვითარცა მიიყვანნეს წინაშე წმინდანი იგი დედანი და ვითარ  
ცა იხილა რიფსიმე აღეგზნა ტრფიალებითა თრდატ და  
ლიქნიდა მას რათა იქმნეს ცოლად მისა ხ~ წმინდა რიფ  
სიმე მიუგო და რქვა უსჯულო მე ზეცისა სასძლოსა მითხო  
ვილ ვარ და შენ ვითარ იკადრებ მაგას მაშინ ვითარ ვერა აღას  
რულა ნება თვისი მახვილითა დაჭრნა წმინდანი იგი დედანი  
ხ~ წმინდა ნინო განგებითა ღვთისათა განერა ხელთა მათთა  
გან და ივლტოდა და მივიდა ულუპოროს და მუნ დაიზამთრა  
და ვითარცა მოიწია ზაფხული აღმოვიდა მათთა ჯავახეთის  
ათა და მიემთხვია ტბასა რომელსა ეწოდების ფარავანი და  
1-19 სტრ., 6r

მიიღო საზრდელი მეთევზურთაგან და მადლობდა ღმერთსა  
**ხ~ იყვნეს** მათვე ადგილთა მწყემსნი და იკითხვიდა მათგან ვინაო  
ბასა და სადაობასა ხ~ მათ მიუგეს რომელნი მე ქინჯარელნი და სხვ  
ანი საფურცლით და რომელნიმე ქალაქით მცხეთით  
**და ვითარცა** ესმა ხსენება მცხეთისა ფ~დ ნუგეშინის ეცა და კვალად  
მიხედნა და იხილნა მთანი ჩრდილოსანი ჟამსა ზაფხუ  
ლისასა სავსენი თოვლითა შეძრწუნდა და ილოცვიდა და მოადი  
ნნა ცრემლნი და მერმე მიიღო ქვა და დაიდვა სასთუნლად და  
მიწვა განსვენებად და ვითარ მიიძინა წარმოუდგა მას კაცი  
ბრწყინვალე ხილვითა და მისცა წიგნი დაბეჭდილი და რქვა  
აღდეგ და მართვი წიგნი ესე მეფესა წარმართთასა მცხეთასა ხ~  
მან ცრემლით მიუგო უფალო მე დედაკაცი ვარ უცხო და  
ვიდრე ვიდე უცხოთა ნათესავთა თანა და განსხნა წიგნი იგი დაწერი  
ლი იყო რომანულად სახელი იესოსი რომელი იტყოდა ხ~  
არა არს მამაკაცები და არცა დედაკაცები არამედ ყოველნი ერთ  
ხართ ქრისტეს მიერ წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და  
ასწავებდით მათ რამეთუ ნათელი გამობრწყინვებად არს მათ  
ზედა და სადაცა იქადაგოს სახარება ესე მუნცა ითქმოდის დედა  
კაცი ესე და ვითარცა განიღვიძა ჩვენებისსა მისგან აღდ  
1-19 სტრ., 6v

გა და აღიპყრნა ხელნი თვისნი და მყოვარ ჟამ ილო  
ცა და კვალად მოდრკა და ცრემლითა ქვეყანასა დაალტო

ბდა და ყოველთა შესავედრებელსა წმიდას ღვთის მშობელსა ევედრებოდა და იტყოდა

**მ**ი ყოვლად ქებულო და დიდებულო ღვთის მშობელო რომე ლმან უხრწნელებით შევ ცხორებად კაცთა მოსრული წმინდა იგი წმინდათა სიტყვა ღვთისა შეიწირე ვედრება უღირსისა მხევლისა მონისა შენისა და შემწე და ხელის ამპყრობელი მექმენ საცთურთა ზედა მტერისათა აჰა ესერა ბრძანებისა ებრძისა შენისა წარვემართები მე ქებად სახელისა მისისათვის წმინდისა წარმიძღვე და მასწავე სიტყვა ჯეროანი და მოხედენ და შეიწყალე ერი განწირული რომლისათვის დასთხია პატიოსანი სისხლი თვისი ქრისტემან ძემან შენმან და ღმერთმან ჩვენმან

**და ვითარცა** განათლდა გონება მისი მაღლითა ქრისტესითა და ყოვლად წმინდისა მარადის ქალწულისა მარიამისათა და უბიწოთა გონებითა წარემართა და ვითარცა იწყო სვლად მიემთხვა კეთილთა მოგზაურთა და შევიდა ქვეყანასა ქართლისასა ურბნისს

**და იხილნა** კაცნი კერპთ მსახურნი და შევიდა ბაგინსა ურიათასა ენისათვის ებრაულისა რამეთუ მან კეთილად უწყო  
1-19 სტრ., 7r

უწყოდა ბერძნული და ებრაული ამისსა შემდგომად დღესა ერთსა წარემართნეს სიმრავლენი ერთანი მიმავალნი ქალაქად მცხეთად თაყვანისცემად ღვთისა მათისა არმაზისდა და მათ თანა წარმოვიდა წმინდა ნინო და ვითარცა მიიწია მცხეთას დადგა იგი წინა კერძო ხიდისა მის და ხედვიდა ერისა მის სიმრავლესა რომელნი დაბნელებულ იყვნეს საცთურითა მით კერპთ მსახურებისათა და ცრემლოოდა ცთომილებისათვის მათისა დღე დასცეს საყვირსა და აღიძრა სიმრავლე ურიცხვი ფერად ფერადად შემოსილნი გამოვიდეს ქალაქით და ვითარ მიჰრიდა ერმან გამოვიდა ნანა დედოფალი და ფოლორცნი შეემკვნეს თითო ფერთა სამოსლითა

**და მისსა** შემდგომად გამოვიდა მეფე მირიან და იქმნეს ხმანი ებნებისა და ნესტვისანი მაშინ ჰკითხა ღირსმან ნინო დედა კაცსა ურიასა რაისათვის არს ზარი ესე და ხმანი ნესტვისანი ხ~ მან ჰრქვა ვითარმედ ღვთისა მათისა თაყვანის ცემად აღვლენ რომელი არა რა არს სხვა გარნა კერპი უსულო

**მაშინ აღვიდა** ნეტარი ნინოცა მათ თანავე ხ~ აღივსნეს მთანი იგი სიმრავლითა ერისათა და ხედვიდა საკვირველებასა მას მეფისა და ერისასა და საოცრებასა მას კერპისასა განიცდიდა რამეთუ

1-19 სტრ., 7v

დგა კაცი სპილენძისა და ემოსა ჯაჭვი ოქროსი და სამხარნი ოქრო  
სანი და თავსა ედგა ჩაფხუტი ოქროსი და თვალად მისა ქვანი  
ბივრიტი და იაკინთი და ხელთა აქვნდა ხრმალი და ვითარცა  
ელვა იქცეოდა ხელთა შინა მისთა და რომელიცა მიეახლის  
სიკვდილად წარიწირის თავი თვისი და რომელნიმე მათგანნი  
იტყოდინან ნუუკუე დაკლაო მსახურება რამე ანუ ეზრახა ებრაე  
ლსა ვისმე თანა და სხვანი იტყოდეს ნუ უკვე უცნაური იგი ღმერთი  
ზეცათა მოიგონა ანუ მზისა ღმერთად წოდებასა დახვდა ესრეთ  
აცთუნებდა შორის მისსა მყოფი ეშმაკი ხ~ მარჯვენით კერძო უდგა  
კაცი ოქროსა და სახელი მისი გაცი და სხვა ერთი მარცხენით  
ვერცხლისა და ეწოდა მას გატი

**ესე** ყოველი იხილა რა ნეტარმან ნინო სულთ ითქუნა და ცრემ  
ლოოდა სრულიად სიბრმისა მათისათვის რომელ მეფე და ყო  
ველი ერი ერთბამად მათ ღვთად აღიარებდეს კერპთა უსუ  
ლოთა წარვიდა მცირედ და დადგა კლდისა რაისა მე ძირსა და აღ  
იპყრა ჰელნი ზეცად და ილოცვიდა და იტყოდა

**უფალო** ისეო ქრისტე ღმერთო ჩვენო და შემოქმედო ყოველთაო რომე  
ლი ცხოვრებისათვის ჩვენისა კაც იქმენ და ხატი მონისა შეი  
მოსე რათა აცხოვნო რომელ ქმენ ხატად შენდა და იხსენ

1-19 სტრ., 8r

მძლავრებისაგან ეშმაკისა ბნელისა რომელსა მხოლოსა გნებავს ყო  
ველთა ცხოვრება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსვლა  
შენ უფალო ისმინე ვედრება უღირსისა მონისა და მხევლისა  
შენისა და აჩვენე ძლიერება შენი ჟამსა ამას და ჰყავ სასწაულ  
კეთილ რათა იხილონ ერთა ამათ მაცხოვარება შენი და შენ მხოლო  
გიცნან ღვთად ჭეშმარიტად და შენდა შესწირვიდეს  
დიდებასა

**მაშინ** ვითარცა სრულ ყო ლოცვა მყის გამოჩნდა დასა  
ვლით ღრუბელი ბნელი და აღდგეს ქარნი ძლიერნი და  
იქმნა ქუხილნი სასტიკნი და ხმანი საზარელნი და მეხის ტე  
ხანი შესაწრწუნებელი რომლისა მიერ მეფე და მთავარნი და  
ერი იგი ურთიერთას დასთრგუნვიდეს და თვითოეული  
ქალაქად მირბოდა ხ~ ადგილსა მას და კერპთა ზედა მოიწია  
სეტყვა თხრობად განსაკვირვებელი ვიდრემდის სრულიად დამუს  
რნა იგი კერპნი და ზღუდე და ყოველი შენებულება დაარღვია  
და უჩინო ყო ხ~ აწ ძირსა მის მთისასა შენ არს ეკლესია წმინდ

ისა ღვთის მშობლისა ხ~ ნეტარი ნინო ჟამსა მას საშინელსა ღვ  
თის მადლითა უვნებლად დაიცვა და ვითარცა განწმდა ჰაერი  
წარმოვიდა წინა კერძო დასავალსა კლდისასა და პოვა ხე შვენიერი  
1-19 სტრ., 8v

შვენიერი და გამოსახა მას ზედა ჯვარი და ექვს დღე დაადგრა მუნ და ექვს  
დღე ილოცვიდა დღე და ღამე ხოლო ერისა სიმრავლე კ~დ გა  
წვიდა ხილვად ადგილისა მის სადა დგომილ იყო არმაზ კე  
რპი და იხილეს ადგილი რა იგი დაუკვირდა და იტყოდეს სიტყვი  
თა სიცოფისათა ესრეთ მტერ არს ღვთისა ჩვენისა არმაზისა  
ღ~თი იგი ქალდეველთა და ურთიერთას მძლავრობენ და ესე ყო  
ველი მის მიერ მოიწია

**მაშინ** მივიდა ერთი წარჩინებულთაგანი სახელით შროშანა და იხ  
ილა რა ნინო ხეთა მათ ქვეშე კითხვიდა ვინაობასა და ვითარცა ზე  
და მიწვევით ისწავა მიზეზი მუნ მისვლისა მისისა ფრიად ცრემლ  
ითა აღვსებული წარსლვასა ეტყოდა დედოფლისა წინაშე

**ხ~ მან** არა ინება მისთანა წარსვლა არამედ შემდგომად სამისა  
დღისა შევიდა ქალაქად და მიმართა წალკოტსა მეფისასა და პოვა  
მუნ მცირე სახლი რომელსა შინა იყოფებოდა დედაკაცი სახელ  
ით ანასტასიოს და აღდგა და მიეგება მას და შიტკბო ვითარცა  
მეცნიერი დაბანა ფერხნი და სცხო ზეთი და მოართვა საზრდელი  
და ცხრასა თვესა იყოფოდა მის თანა ხ~ დედაკაცი იგი იყო უშ  
ვილო და ფრიად მწუხარე იყო ქმარი მისი და ღამესა ერთსა  
იხილა ნეტარმან ნინო კაცი ბრწყინვალე რომელმან რქვა  
1-19 სტრ., 9r

შევედ სამოთხესა მაგას ხესა ქვეშე ყვავილოვანსა და აღიღე მიერ  
მიწა და აჭამე კაცსა მაგას და იქმნეს შვილიერ ხ~ მან ყო  
ეგრეთ და შემდგომად ამისსა ესხნეს ძეები და ასულები და იხარე  
ბდა კაცი იგი ხ~ ხე იგი იყო კვიპაროზი და ქვეშე მისსა მრავ  
ალ ფერი ყვავილი და კვალად იხილა ღმერთმან მან ჩვენებით  
რამეთუ მოვიდიან მფრინველნი და განიბანიან წყალსა მას ში  
ნა მდინარესა მტკვრისასა და აღმოვიდიან და ხესა მას ზედა შეკრბ  
იან და ქვეშე მისსა ყვავილთა მოისთლობდიან

**მაშინ** მიუთხრა ჩვენება ესე შროშანას და ასულსა აბიათარის  
ჰურისასა რამეთუ მათდა შემეცნებულ იყო და მრავალ გზის  
მოვიდიან მისა და ისმენდიან სიტყვათა მისთა ტკბილთა

**ხ~ სიდონია** სწავლულ იყო სჯულსა მოსესსა და წინასწა  
მეტყველთასა და მამა აბიათარ მღვდელთ მოძღვარი იყო

ჰურიათა და ფილოსოფოსი შემკულ რომელმან იგი ფრიად იღვაწა ჭემდარიერებისათჳს ნინოს თანა რომელი იგი ჟამსა თჳსსა მოგითხრა ხ~ ვითარცა წმინდამან ნინო ჩვენება იგი მიუთხრა სიღონია ცრემლით აღიძრა და ჰქვა ყო ვლად უცხოო და შორით მისრულო და ჩვენდა მომართ სამღთოო ნიჭო შენ მიერ ეგულების შემოქმედსა განათლება სულთა 1-9 სტრ., 9v

სულთა ჩვენთა და შენ მიერ იცნან ღმერთი ყოველთა ერთა და რომელნი არიან ტყვეებასა შინა ეშმაკისასა ადრე განთავი სუფლდენ ესრეთ აღუხსნა ჩვენება იგი კეთილმან მან დედ აკაცმან ხ~ ნინო წარვიდა მაყვალთა მათ შინა რომელნი იგი დგეს შორის სამოთხესა მას მახლობლად კვიპაროზთა მათ რომელნი სახედ ტალავრისა გარდაფენილ იყვნეს და ფარვიდეს მას და მუნ შინა აღ ასრულნის ლოცვანი თჳსნი

**ამათ** მაყვალთა შინა შევიდა ღირსი ნინო და აღიპყრნა ჴელნი და მადლობა შეწირა ღმერთსა და ილოცა რათა მისცეს მას მეცნიერება ღმრთეებისა მისისა ხ~ იყო მოქალაქობა და მისი და მოღვაწება ცრემლით ლოცვა და საწადელისა საშვებელ მარხვა და სამოსელი მისი დაბეჭკილი ბალნისა და სარეცელი მისი ძაძა და მიწასა ზედა ესე ვითარითა მოღვაწებითა დაადგრა მათ მაყვალთა შინა ექვს წელ და კურნებდა სნეულთა და მოესმა კაცსა ვისმე წარჩინებულსა რომლისა ძე სნეული იყო ხ~ მან აღიქვა საყვარელი იგი ძე მისი და მიგვარა წმინდასა ნინოს და ევედრებოდა განკურნებად ხ~ ღირსმან მან ღ~ისა შეწევნისა მოუწოდა და სარეცელსა თვისსა მიიწვინა და ქრისტეს მიერ ჯვარი ზედა გამოსახა და ილოცა რა მყის აღდგა ყრმა იგი მრთელი და უვნებელი და მისცა იგი მამასა მისსა 1-19 სტრ., 10r

**და კვალად** ასული დედაკაცისა ვისიმე ვნებული განკურნა და მიიწია ანბავი ესე წინაშე დედოფლისა და ვინაითგან იგიცა ეგრე ვითარითა სენითა შეპყრობილ იყო მეყსეულად მიავლინა მისა ვედრებითა რათა მივიდეს მისა ხ~ ღირსმან პატიოსანმან სამეფო იგი ბრძანება არად მიითვალა რამეთუ მდაბალ იყო გონებითა ხ~ სენთა მათგან ფიცხელთა შეპყრობილმან იძულებითი ზვაობითი მეფობისა პატივი დაუტევა დედოფალმან და უცხოსა მის და მდაბლისა მირბიოდა და ვითარცა მიიწია იგი წმინდასა მის კურნებასა ევედრებოდა ხ~ იგი ეტყოდა ზი დედოფალო მე დედაკაცი ვარ უცხო და უნდო ხორცთა შინა მყოფი და არა ძალ მიც კურნებად გარნა თაყ

ვანის ცვემ და ვქადაგებ რომელი იგი არს დამბადებელი ყოველთა  
მკურნალი სულთა და ხორცთა უკეთუ თაყვანისცე მას და  
ღვთად აღიარო უეჭველად მიემთხვიო კურნებასა და დედ  
ოფალი ეტყოდა უკეთუ განვიკურნო ყოველი რაცა  
მითხრა იგიცა ვყო ხ<sup>~</sup> ნეტარან ნინო მიაწვინა ცხედარსა  
ზედა თვსსა და აღიპყრნა ხელნი და ილოცვიდა ესრედ  
მეტყველი უფალო იესო ქრისტე ღმერთო ჩვენო რომელმან  
შეხებითა სამოსლისა შენისათა განკურნე წილოანი იგი დედ  
აკაცი ეგრეთვე მოვედინ წყალობა შენი და მადლი შეწე  
1-19 სტრ., 10v

შეწევნისა შენისა გარდამოგვივლინე ჩვენ ზედა და ესრეთ რა ილოცა გან  
კურნებული წარავლინა სახედ თვისად და იხარებდა ხ<sup>~</sup> დედო  
ფალმან იხილა რა მსწრაფლი იგი კურნება მისი ფრიად სასყიდელი  
მიართვა ნაცვლად კურნებისა ხ<sup>~</sup> ღირსმან ნინო ჰრქვა ესე ჩე  
მდა არად სახმარ არს აწ რამეთუ ზეცისა ნიჭთა და პატივთა  
მოველი და თუ გნებავს შენ სრული კურნება თაყვანისცე ღმე  
რთსა შემოქმედსა შენსა და დამბადებელსა ყოველთასა და შემოი  
ხვნა შორის საღთონი სწავლანი ვითარნი ჯერ იყვნეს მიმთხრობ  
ად ჟამსა მას ხ<sup>~</sup> დედოფალი ლმობიერ იქმნა და განკვირდა ტკბ  
ილთა მათ სწავლათა ზედა ნინოსათა და განათლებული გონებითა  
სახედ თვსად მიიქცა და აუწყა მეუღლესა თვისსა მსწრაფლი იგი კურნება  
და ძალი იგი ღვთისა მის რომელსა ქადაგებს უცხო იგი და ყოველი  
რომელი ესმინა მისგან აუწყა და ევედრებოდა რათა იგი მხოლო უწყოდ  
ის ღ<sup>~</sup> თდ ჭემმარიტად ხ<sup>~</sup> მეფემან მირინ აქა მეუღლესა ზედა  
თვისსა ქმნილი იგი საკვირველება და უკვირდა ფრიად გარნა არა  
მოვიდა ჟამსა მას სარწმუნოებად კვალად სხვასა ჟამსა მცირე  
მე მეფისა შეპყრობილ იქმნა ფიცხლად სენითა მხურვალეებისათა რომ  
ლისა უბრძანა დედოფალმან რათა მიგვარონ ღირსსა ნინოს და ევ  
ედრებოდა განკურნებად მისა ხ<sup>~</sup> წმინდამან ჩვეულებისაებრი ლოც  
1-19 სტრ., 11r

ლოცვანი ზედა დაასხნა და ვედრება შესწირა უფლისა და ყოვლ  
ითურთ განკურნებული მისცა დედასა თვისსა ამისსა შემდგომად  
დაემოწაფა დედოფალი ნანა ღირსსა ნინოს სხვათა თანა  
წარჩინებულთა მხევალთა მისთა და მარადის ისმენენ სწვალათა მისთა  
და მოძღვრებასა მისსა

**და ვითარცა** სასწაულნი იგი დღითი დღე აღესრულებოდეს წმინდისა  
მის მიერ და განითქმოდეს ურიცხვნი იგი კურნებანი და კვალად მთ

ავარი ვინმე სპარსი მოვიდა მეფისა სახელით ხვარა რომელი იგი იყო დედის ძმა დედოფლისა ესე ვნებულ იყო სულისა გან [დედოფ] ბოროტისა და ფრიად იგვემებოდა მრავლით ჟამით გან და ევედრებოდა განკურნებად ღირსსა ნინოს ხ~ მეფემანცა მიუმცნო ურწმუნოებით და ორგულებით და რქვა რომლისა ღვთისა ძალითა იქმ შენ კურნებათა ნუ უკვე ხარ შენ ასული არმაზისი ანუ შვილი ზადენისი და ვინაითგან უცხოებით მოხვედ მოგანიჭეს შენ ძალი კურნებისა დაღაცათუ ჰაერთაგან შეიმუსრნეს გარნა ეგრეცა ცხოველ არიან

**აწ იყავ** ჩემ მიერ ფრიად პატივცემულ ვითარცა დედა მძუძე ჩემი უკეთი განკურნო მთავარი ესე მრავალი სიმდი დრე მოგანიჭო შენ და იყო ყოველთა მიერ სახელოვან და დიდ 1-19 სტრ., 11v

ქალაქსა ამას შინა ჩემსა ხ~ ნეტარმან ნინო მიუგო და რქვა შენ უკვე მეფე ცხონდი სიტყვითა უფლისა ჩვენისა ისეო ქრისტესითა რომელი იგი არს შემოქმედი

ცათა და ქვეყანისა და ყოველთა დაბადებულთა რომელმან იგი გამო აბრწყინვოს ნათელი ჭეშმარიტი გულსა შინა შენსა რომელი იგი ძალა ღთა შინა მყოფ არს და მდაბალთა ხედავს რომლისა ჯელთა შინა არს სული ყოველთა და ცხოვრება და სიკვდილი და ვესავ მას [ხ~] რამეთუ ახლოს არს მოქცევა შენი მისსა

**და შენ** არა უწყი მეფეო რამეთუ არს ქალაქსა ამას შინა შენ სა სამოსელი უფლისა მის ჩემისა იესოს ქრისტესი და მით იქმნე ბიან სასწაულნი ესე და კურნებანი და ძალნი და სხვანი ურიც ხვნი ყოფად არიან და განიკურნოს მთავარიცა ესე სახელითა მისითა წმინდათა

**მაშინ** მიიყვანეს მთავარი იგი და თანა მიჰყვა დედოფალიცა და შეიყვანა იგი ხეთა მათ ქვეშე კვიპაროზთა და რქვა ნეტარ მან ნინო უკეთუ გრწამს უფალი იესო ქრისტე ჭეშმარიტი იგი ღმერთი განთავისუფლდე ვნებისა მაგისაგან შენისა ხ~ მან მიუგო მრწამს რომელსა იგი შენ ესავ ოდენ შემძლებელ არს იგი კურნებად ჩემდა

**მაშინ** წმინდამან უბრძანა სამგზის თაყვანისცემა აღმოსავლით 1-19 სტრ., 12r

და აღსარებად სახელსა წმინდისა სამებისასა და მერმე მიაქც ია დასავალით და სამგზის ათქმევიანა ვიჯმნი ეშმაკისაგან და ყოველთა საქმეთა შენთაგან და კვალად აღმოსავლით

და თქვა შეუდგები ქრისტესა  
და მყის ილტოდა მისგან ეშმაკი და განთავისუფლდა ვნებ  
ისა მისგან ხ~ სცნა რა მეფემან ვითარმედ ქრისტეს ათაყ  
ვანა მთავარი იგი განრისხნიდა და ფრიად ბორგა ნინოსათვის და  
ნანა დედოფლისა და აღდგა და განვიდა ნადირობად და იტყოდა  
შემორავიქცე შური ვიძიო მათგან შეურაცხებისათვის ღმერ  
თთა ჩემთასა და ვითარცა განვიდა იგი მთასა ზედა თხოთისასა  
ჟამსა სამხრისასა და დაუბნელდა მას განგებულებითა ღ~ისათა  
ვითარცა იგი პირველ პავლესა და ვითარცა ვერ შემძლებელ  
იყო იგი სიკვდილად ხმოზდა იგი მონათა მიმართ და მთავა  
რთა ვითარმედ დაბნელდეს თვალნი ჩემნი ხ~ თქვენ ხედავთ  
ნათელსა ხ~ იგინი ეტყოდეს ბრწყინვალედ ვხედავთ ჩვენ  
ნათელსა მზისასა

**ჰრქვა** მათ ვედრებით ზადენს და არმაზს რათა განმინათ  
ლონ მე თვალნი ხ~ ყოველნი იგი ერთობით ხმოზდეს სახე  
ლსა მათსა და არარა სარგებელ ეყო მას მერმე მოეგო გო  
1-19 სტრ., 12v

გონებასა და თქვა გულსა შინა აწ შეუვრდები ჯვარცმულსა მას  
რომელსა იგი ქადაგებს უცხო იგი დედაკაცი და ჰყოფს კუ  
რნებასა სახელითა მისითა

**მაშინ** ჳმა ყო და თქვა ღმერთო ნინოსაო რომელი ხარ ღმე  
რთი ჳემმარიტი განმინათლე სიბნელე ესე ჩემ ზედა მდებ  
არე და გამომიბრწყინვე მე ნათელი რათა აღვიარო სახელი  
შენი წმინდა და გადიდებდე შენ ხ~ სახიერი იგი და კაცთ მოყვა  
რე ღ~თი რომელი ეძიებ მოქცევასა კაცთა ცხოვრებისათვის მყ  
ის მიანიჭა მას ნათელი და ვითარცა იხილა ნათელი  
მეყსეულად აღიპყრნა ჳელნი აღმოსავლით დაღატყო  
და თქვა ჳემმარიტად შენ ხარ ღმერთი ჳემმარიტი და  
ღ~თი ღ~თთა და უფალი უფლებათა რომელმან შე  
ქმნენ ცანი და ქვეყანანი და შენ აღვიარებ და შენ თაყვანსა  
გცემ რომელმან მიხსენ ჳირისა ამისაგან და მრწამს  
რამეთუ გინებს ხსნა ჩემი და ამიერთგან თაყვანისცვ  
ემ პატიოსანსა ჳვარსა შენსა და უბრძანა ყოველსა  
ერთა რათა მიიღონ ქვა ჳელითა თვისითა შექმნა  
ადგილსა მას სადა იგი პოვა ნათელი და აღაშენა ეგვ  
ტერი მცირე ჳვარისა სახედ და ვიდრე აქამომდე ჩანს  
1-19 სტრ., 13r

ნაქმარი იგი ხ~ სამხრით კერძო ადგილისა მის სიახლესა შენ  
არს ეკლესია სახელსა ზედა მთავარ მოწამისა გიორგისსა და შემდგომ  
ად ამისსა წარვიდა აღვსებული სიხარულითა და შემკული ქრისტეს  
სარწმუნოებითა და წინა წარავლინა მახარებელი საქმისა მისთ  
ვის და ვითარცა მიეახლა ქალაქსა მას სამეფოსა წინა მოეგებოდა ერი  
მრავალი და თვით დედოფალიცა ნანა და ერთბამად ყოველნი  
ადიდებდეს ღმერთსა და ვითარცა შევიდა მეფე პალ  
ატად ბრძანა სადა არს უცხო იგი დედაკაცი დედა ჩემი რამეთუ  
ღმერთსა რომელსა იგი ქადაგებს იგი არს ჭეშმარიტი მხსნელი  
ჩემი და ღირსისა მის ნინოს მიმართ მიისწრაფდა და ხმოზდა  
და იტყოდა მრწამს ამიერითგან მოციქულო ჭეშმარიტისა ღვთ  
ისაო რამეთუ იგი არს ჭეშმარიტი ღმერთი და უფალი რომელ  
სა იგი შენ ქადაგებ და მას ვესავ და მას თაყვანის ვსცემ და ევედრე  
ბოდა რათა გამოუსახოს სახე ეკლესიისა მაშინ ახალმან ბესელიელ და მის მიერისა  
მადლისა წარმომარჩინებელმან სახე ეკლესიისა  
მაშინ ახალმა ბესელიელ და მისსავეს მადლსა ღირს  
ქმნილმან სახე იგი ეკლესიისა და დაუსახა აღაშენეს სამღ  
თო ტაძარი სახელსა ზედა წმიდისა ღვთისმშობ  
ლისასა და კვალად ბრძანა მეფემან აღშენება  
სხვა ტაძარი შორის სამოთხესა მას სადა იგი მდგომარე  
1-19 სტრ., 13v

იყო ხე კვიპაროზი სურნელი და ქვეშე ყვავილოვანი და ვითარცა  
შვრებოდა ყოველი იგი ერი მოსწრაფედ უბრძანა მოკვეთად მეფემ  
ან ხე კვიპაროზი რათა შექმნან იგი სვეტად ტაძარისა მის  
ხ~ აქან მელოდენ სიტყვა ესე და თქვენ ისმინეთ საწადელი  
ესე თხრობად

**რა ჟამს** იგი ინება ღ~თნ კაცთა ნათესავისა გარ  
დამოავლინა ძე და სიტყვა თვისი და ჯორცნი შემოსნა წმიდ  
ისაგან ქალწულისა და კაცთა თანა იქცეოდა ჟამთა ოცდა ათ სამე  
ტისა წლისა აღასრულებდა ნიშთა და სასწაულთა ბუნებათა  
უაღრესთა ხ~ ურიათა ნათესავი მღვდელი და მწიგნობარნი  
შურითა განიხერხებოდეს ხ~ იყვნეს მას ჟამსა მცხეთასცა ში  
ნა სამღვდელონი ჰურიანი და პასექსა მას წლითი წლად აღვიდ  
იან იერუსალიმად სიტყვის ყოფად და დამტკიცებად სჯულსა  
მოსესსა რათა არა დაიხსნას იგი და ოდეს იგი და ოდეს იგი ენება ჯვართა  
ვნება შემოქმედსა მას ყოველთასა

**მას** ჟამსა უმეტეს აღაბორგნა ემმაკმან ჰურიანი და მიუწერეს მც

ხეთელსა მათ იერუსალიმით ვითარმედ კაცისა მისა მიმართ რომე  
ლსა ჰრქვიან იესო განქარდა სჯული მოსესი და დაიხსნეს ყოვე  
ლნი წესნი ჩვენნი და ყოველნი კაცნი მისა შედგომილ არიან  
1-19 სტრ., 14r

აწ მოვედით და შეგვეწიენით ჩვენ კაცნი ბრძენნი და სჯულის მეცნიერნი  
მაშინ გამოარჩიეს ელიოზ კაცი მოხუცებული და ფრაიდ ბრძენი და გონიერი და იყო  
ასული მისი და ელიოზისი ქალწული და შემკული ღვთის მოშიშებითა  
და წარავიდოდა ელიოზ კითხა დედამან მისმან და ჰრქვა: შვილო აჰა  
ესერა წარხვალ წოდებასა მას რომელსა ზრახვენ მღვდელთ მოძღვარნი  
და ფარისეველნი კაცისა მისთვის მართლისა ნუმცა შერთულ ხარ  
მათ თანა რამეთუ იგი არს მოსწავებული წინასწარმეტყველთა და  
იგი არს წარმართთა ცხოვრება საუკუნო და კვალად და იგი მისი ვითა  
რცა მისცემდა მოკითხვასა რქვა ძმაო სასურველო ღირს იქმენ შენ  
ხილვასა კაცისა მართლისასა რომელსა რქვიან იესო და ნეტარ  
ხარ შენ და გვედრები მე რათა რასაცა შეხებულ იყვნენ ხელნი მისნი  
წმიდანი ანუ თუ სამოსელი მისა შეხებულ იყვნენ უკეთუ მოი  
ტანო ნეტარ ვიყვნეთ ესე რა ჰრქვა მას წარვიდა და ვითარცა მიი  
წია იერუსალიმს შეკრებულ იყო ერი ურიათა და დაემტკიცა ჯვარცმა  
ქრისტესი ხ~ არა სადა ეზიარა განზრახვასა მისსა არამედ შორს დგა  
იგი და მისთანანი იგი და მოვიდეს ხილვად იესოსა ვითარცა  
იგი წერილ არს სახარებასა შინა ვითარმედ იყვნეს ვინმე წარმართ  
თაგანიცა რომელიცა აღმოსრულ იყვნეს თაყვანის ცემად დღ  
ესასწაულსა მას ესენი მოვიდეს ფილიპესსა რომელი იყო ბედსაიდად  
1-20 სტრ., 14v

და ეტყოდეს მას უფალო გვენებას ხილვა იესოსი მოვიდა ფილიპე და ჰრქ  
ვა ანდრიას

**ესრეთ** იყვნენ ელიოზ და მისთანანი წარმართთაგან მოს  
რულნი ხ~ ვითარცა აღესრულა ნებსით ვნება მაცხოვრისა  
მიხვდა წილითა კვართი უფლისა ჩვენისა ელიოზს ვითარცა  
წერილ არს განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ჩემსა ზედა  
განიგდეს წილი ხ~ მას ჟამსა ჯვარცმისასა ოდეს ლურსმანსა ჰკ  
რა კვერი მიიწია ყურთა ელიოზის დედისათა და ჯმა ჰყო ძლიერად  
აღსრულმან სჯლისაგან და თქვა ამიერთგან მშვიდობა შენდა მეფობაო ურიათაო  
რამეთუ მოკალთ უფალი მოსრული მაცხოვრად და იქმნენით  
მტერ შემოქმედისა და ამას ზედა შეისვენა მასვე ჟამსა არა თუ იყო  
ლა მაშინ მეფობა ურიათა გარნა წარწმედასა მათსა მოასწავებ  
და ვითარცა წერილს არს აჰა ესერა დაუტევნეთ სახლნი თქვენნი

ოხრადო ამისსა შემდგომად წარმოვიდა ელიოზ იერუსალ  
იმით სახედ თვისად და და იგი მისი მიეგება და მოეხვია ქედსა  
ხ~ ელიოზ გამოიღო კვართი იგი საუფლო და მისცა მას და  
რქვა აჰა რომლისა გსუროდა მიიღე კვართი მისი ვითარცა  
მიიღო დედაკაცმან მან კვართი იგი უფლისა რამეთუ შეკვეც  
ილ იყო იგი და იმთხვია რა პირსა დაიდვა მკერდსა და ჳმა ჰყო  
და ცრემლითა და აღმოუტევა სული  
1-19 სტრ., 15r

**მაშინ აღიმრნეს ერნი უცხოთა მას** ზედა სასწაულსა და იქმნა  
შფოთი დიდი და მოესმა მის ჟამის მეფესა ამაზარეს და ენება  
რათა გამოუღოს იგი ხ~ დახსნა იგი ზარმან მის მკვდრისამან რამე  
თუ მაგრად ეპყრა იგი მკერდსა ზედა ხ~ ელიოზ შიშითა შეპყრ  
ობილმან და იგი საყვარელი და წმინდით კვართითურთ დაკრძალა  
მიწასა შინა და აღმოხდეს მეყსეულად ხენი კვიპაროზნი  
და აღმოეცენა ხესა მას ქვეშე ყვავილი მრავალ ფერნი და სურ  
ნელი ხ~ აწ პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ ვითარცა მოკვ  
ეთეს ხე იგი კვიპაროზი გამოსცა სულნელება მიუთხრობელი  
და შემზადეს სვეტი ვითარცა ბრძანებულ იყო მეფისა მიერ  
და ენება აღმართება არა მასვე ადგილსა სადა იგი მოეკვეთა  
არამედ სხვასა ერთ კერძოსა ტაძრისასა და მოვიდა მეფე და ყოვ  
ელი ერი და ფრიადითა ღონის ძიებითა ჳელ ყვეს აღმართება  
მისი და ვერ შეუძლეს რამეთუ საღმრთო ძალი აყენებდა და  
მოიწია ღამე და წარვიდა მეფე და ყოველნი ერი განკვირვ  
ებული ხ~ ნეტარი ნინო დგა მას ღამესა მახლობელად  
სვეტისა მის და ილოცვიდა და იხილა ჳაბუკი ერთი  
ნათლითა შემოსილი და ნინოსავე თანა გვერდით დგეს შროშანა  
და სიდონია და იხილეს მათცა და ეტყოდა ნინოს რა არს ხი  
1-19 სტრ., 15v

ხილვა ესე ხოლო მან ხელი განუხარა და უბრძანა განშორება და  
კაცმან მან ნათლით შემოსილმან აღმართა ძელი იგი  
და ამართებით ადგილსა მას სადა იგი მდგომარე იყუნ  
ეს და ორ კაც ოდენ სიმაღლესა დადგა იგი და გამოსცემდა ბრ  
წყინვალებასა და ფრიადსა სურნელებასა და ვითარცა იქმნა ცი  
სკარი გამოვიდა მეფე ურვებული სვეტისა მისთვის და მოეახლა ად  
გილსა მას და ეყნოსა სული სურნელებისა მიუთხრობელი და იხილა  
ხილვა საშინელი და ელვარება ბრწყინვალე და სვეტი იგი მალღ  
ად ზე მდგომარე და იწყო შემოკრებად ერისა სიმრავლისამან და ყოვ

ელი ქალაქი და თვით მეფე და დედოფალი ცრემლითა ილტობო  
დეს და ვითარ იგი ხედვიდეს ყოველნი სვეტი იგი ნათლით შემოსი  
ლი მცირე მცირე ჩამოდიოდა და ძირთავე მისთა ზედა დაემყარა და  
შეეძერწა ყოვლითურთ შეუხებლად ხელთაგან კაცთასა და აღივსნეს  
ყოველნი შიშითა და სიხარულითა და ერთხმობით აქებდეს ღმერთსა  
ნინოსსა და ამიერითგან იქმნებოდეს ძალნი და სასწაულნი

**მას** ჟამსა იყო ვინმე ურია შობითგან ბრმა მოვიდა და შეეხო  
სვეტსა მას და აღეხილნეს თვალნი მისნი და მოვიდა სარწმუნო  
ებად ყოველთა სახლეულთა მისთა თანა

**კვალად** მთავრისა ვისმე წარმართისა ძე მრავალ ჟამ მდებარე  
1-18 სტრ., 16r

იყო ცხედარსა ზედა რომლისა ასონი უძრავად ქმნილ იყვნეს და დახსნილ  
ეშმაკისაგან ესე მოილო დედამან მისმან წინაშე სვეტისა მის და  
ევედრებოდა ნეტარსა ნინოს რათა ილოცოს ძესა მისსა ზედა ხ~ ლი  
რსსა მასს შეეწყალა დედაკაცი იგი და დასდვა ჴელი სვეტსა მას  
და მერმე შეახო ყრმასა მას და ჰრქვა უკეთუ გრწმენეს იესო ქრისტე ძე ღვ  
თისა განიკურნო გვემულებისაგან ხ~ ყრმა იგი ჴმოზდა მრწამს წმინდ  
აო მოციქულო ღვთისაო მაშინ უპყრა ხელი და აღადგინა მრთ  
ელი და მისცა დედასა მისსა

**ხ~ მასვე** ჟამსა შინა შიში დიდი დაეცა ყოველთა მათთვის სასწ  
აულთა რომელნი იქმნებოდეს სვეტისა მისგან ბრწყინვალისა მაშინ  
მეფემან შექმნა სვეტისა მისგან საბურველი და დაფარა ხედვისაგ  
ან და ეგრეთ გარეშესა მას შეემთხვივნიან და განიკურნიან და ვით  
არითაცა ვინ შეპყრობილ იყვნიან უძლურებითა

**ხ~ პირველ** ათისა წლისა მირიან მეფისა ყოველთა ლ~ თნ წყა  
ლოზა ყო ჰრომთა ზედა და ბერძენთა და ზეგარდამო წოდებითა  
გამოაჩინა მეფე მორწმუნე კოსტანტინე და დედა მისი ელენე  
დედოფალი და ნათელ იღეს სახელსა ზედა ქრისტესსა ყოველ  
მან ერმან და პალატმან მისმან ამაღლებითგა უფლისა ჩვ  
ენისა იესო ქრისტესა სამას მეთავრამეტსა წელსა და ამაღლ და  
1-19 სტრ., 16v

რქა ქრისტიანეთა ხ~ დიდმან და მოციქულთა სწორმან და მზგავს  
ებულმან კონსტანტინე დიდად იღვაწა და წარავლინა დე  
და თვისი იერუსალიმად ძიებად პატიოსნისა ჯვარისა რომელიცა  
პოვა მან ჯერჩინებითა ღვთისათა და აღაშენა წმიდანი ტაძარნი  
საუფლონი ხ~ მას ჟამსა შინა ოდეს იგი პატიოსანი ჯვარი გა  
მოაჩინა ჴელთა დედოფლისა ელენესათა მასვე ჟამსა მცხეთასა

მიწასა შინა დაფარული წმიდა სამოსელი გამოაბრწყინვა რო  
მელსა ზედა სვეტი ნათლისა იხილვებოდა და კურნებანი მრავალ  
ნი იქმნებოდეს და ჰრომთა და ბერძენთა ზედა იქმნა მეფე მორწმუნე მეფე  
კონსტანტინე ეგრეთვე მასვე ჟამსა მეფე იქმნა ზეგარდამო განსწა  
ვლული კეთილად და სათნოდ ღვთისა მორწმუნე მეფე მირიან  
**მაშინ** ვითარცა განსრულდა შენება ეკლესიათა და არღარა  
იყო ნაკლულოვნება გარნა ხოლო მღვდელნი და წარავლინა  
მოციქულნი საბერძნეთისა მეფისა მიმართ და ითხოვნა სჯულის მღე  
ბელნი ხ~ ვითარცა მიიწივნეს მოციქულნი იგინი განიხარა  
კონსტანტინე მეფემან და მრავლითა პატივითა პატივსცა და  
წარაყოლა მათ თანა ევსტათი ანტიოქელი პატრიაქი კაცი ყო  
ვლითა სიბრძნითა სავეს რომელმან ნიკისა კრებასა დაამტკიცა  
მართალი სარწმუნოება ხ~ ვითარცა მიიწია პატრიაქი სან  
1-19 სტრ., 17r

ახებსა ქართლისათა და თანა ჰყვა ძელი ცხოვრებისა და ხატი  
უფლისა და ყოვლად წმიდისა ღვთის მშობელისა მოეგება  
მას მეფე და ყოველნი მთავარნი მისნი და დიდითა პატივითა  
ალიყვანეს პალატად და მიიღეს კურთხევა მეფემან და წმინ  
დასა ნინოს მიუძღვნა ნეტარება და მისცა წიგნი ელენე დედო  
ფლისა მიწერილი მისდამი პატივით და ხვალისა დღე განამზადეს  
სანათლო და ნათელ იღო მეფემან და დედოფალმან და ყოველ  
თა მთავართა და ყოველმან ერმან და აკურთხნა ეკლესი  
ანი და დაამყარნა საკურთხეველნი და ყო სატფურება და დასხნა  
ხელნი მთავარ ეპისკოპოსად ღირსსა იოვანეს და ასწავა სჯული  
მეფესა და ყოველსავე ხ~ მკვიდრ იყვნეს მცხეთას შინა მრ  
ვალნი სულნი ურიანი რომელთა მღვდელთ მთავრად იყო  
მაშინ აბიათარ რომელი ზემო ვახსენეთ და მიიყვანა იგი  
წინაშე პატრიაქისა მეფემან და რქვა ჰი აბიათარ ღმერთმ  
ან გვიხსნნა წმინდისა ნინოს მიერ კერპთა მონებისაგან  
და საცთურთა მათთაგან და ნათელ გვიღებებს ხელითა  
პატრიაქისათა სახელსა ზედა უფლისა იესოს ქრისტე  
სა აწ რა გნებავს თქვენ ურიანო

**მაშინ** მიუგო აბიათარ და რქვა მეფეო ვითარცა უწყ  
1-20 სტრ., 17v

უწყიან მთავართა შენთა და ყოველმან ამან ქალაქმან რამე  
თუ ნათესავნი ვართ ბენიამინისანი და სჯულსა მოსესსა სწავლულ  
და ფრიად წვრთილ წინასწარმეტყველთასა და მეცნ

იერ ყოველსა მათ მიერ ქადაგებულსა და ყოველნი იგი ამისთ  
ვის წამებდეს ვითარმედ შეცვალებად იყო სჯული ესე ჩვენი და  
მოსლვად ღვთისა ქვეყანად და მსგავსად კაცთა და ნათლის ღებ  
ად და ჯვარცმად და სამარესა დადებად და აღდგომად მესამესა  
დღესა ხ~ მამათა მათ ჩვენთა განიხარეს

შემოქმედი და გამოახვნეს თავნი მათნი წყალობისაგან  
ღვთისა და ჰრომთა დაიპყრეს [ქვეყანა] მეფობა ჩვენი და ჩვენ  
დავემხვნით ხ~ მე მივემთვხიე ებისტოლესა ნათესავისა ჩვე  
ნისასა პირველსა რომელი იგი შეუდგა მოციქულად ქრისტ  
ესა და გულისხმა ვჰყავ მით შჯულისა ჩვენისა განქარვება  
გარნა არავინ იყო მსწავლელ ჩვენდა და ოდეს ინე  
ბა ლ~თნ და მოავლინა ქვეყანასა ამას მოციქულად ნეტ  
არი ნინო და ვიხილენ სასწაულნი უადრესნი ბუნებისანი  
რომელთა თქვენცა მეცნიერ ხართ მეფეო და შეუდგა მას ასუ  
ლი ჩემი და აწ მეცა მზა ვარ ნათლისღებად სახელსა ზედა  
სამებისასა და ვითარცა ესე ყოველი წარმოთქვა განიხარა მეფ  
ემან და ნათელსცა პატრიაქმან აბიათარს და ყოველსა ნათესავსა  
1-19 სტრ., 18r

მისსა და მისცა მეფემან დაბა რომელსა ეწოდების ციხე დიდი და იყო  
საყვარელ წინაშე მისსა ხ~ სხვანი ჰურიანი რომელთა არა ნათელ  
იღეს განიბნივნეს მცხეთით და წარვიდეს ხ~ ევსტათი პატრიაქმან  
დაამტკიცა მართლმადიდებლობა და ასწავა წესი ეკლესიათა და  
იჯმნა მეფისაგან და წარემართა ქვეყანად თავისად ხ~ მეფემან და  
სვინკლიტიკოსთა მისთა მისცეს ასი სოფელი მოსასყიდელად წმ  
ინდისა მირონისა

შემდგომად აღვიდა წმინდა ნინო მთასა მას რომელი არს  
პირის პირ მცხეთას რომელსა ზედა დღეს შენებულ არს ეკლესია სვე  
ტისა ცხოველისა ჯვარი პატიოსანი და მუნ ილოცვიდა და ევედრა  
ღმერთსა და ძირსა მის მთისასა წყალი აღმოცენდა და მრავალი  
სასწაულნი და კურნებანი იქმნეს წყლისა მისგან. ხ~ იოვანე ეპისკოპოზმან  
სურნელისა მის ხისაგან შექმნნა სამნი ჯვარნი მაშინ იხილვებოდა სასწაული დიდი  
რამეთუ ზედა გამოჩნდის ჯვარი ცეცხლ

ისა შემკული ვარსკვლავებითა და ცისკრისა მოწვენამდე დგის ზე  
და კერძო სვეტისა ცხოველისა და შემდგომად ცისკრისა განუტევენის ელ  
ვანი და წარვიდ ერთი აღმოსავლით და ერთი დასავლით და ერთი იგი  
დადგის თავსა თხოთისასა და ერთი იგი მიიწეოდის ბოდბეს ჯვარის  
სახე იგი დადგის წიად არაგვისა თავსა მის მთისასა სადა იგი წმინდამან

ნინო წყარო აღმოცენდა და ესე მრავალ გზის იქმნა და განკვირ  
და მეფე და ყოველი ერი და აღაშენა მეფემან ერთი ეკლესია თავსა  
1-21 სტრ., 18v

მის მთისასა სადა ჯვარი იგი დადგის და ერთისა თხოთს და  
დაასვენეს ჯვარნი იგი ერთი ჯვარს და ერთი თხოთს და ერთი ბ  
ოდეს ხ~ ჯვარი იგი ვაზისა რომელ მიიღო წმინდამან ნინო ხელი  
საგან ყოვლად წმინდისა ღვთის მშობელისა არს ჯვარი  
მას შინა რომელ დაასვენეს ჯვარსა პატიოსანსა

**ესე ჯვარნი** განწესებისა ებრ მეფისა წარიყვანა ღირსმან  
იაკობ ფრიადითა სიმრავლითა ერისათა და საკმეველისთა სულნელებ  
ითა და დაასვენნა ადგილსა მათ ხ~ სვეტსა მას წინაშე ცხოველსა აღეს  
რულეობდეს სასწაულნი მრავალნი და არავინ იკადრებდა კართა გან  
ხმად თვინიერ კვირიაკისა ხ~ კვირიაკესა განახვნიან და მღვდელთა  
შეწირიან სამღრთო მსხვერპლი და ყოველნი სნეულნი განიკურნე  
ბოდნიან და ერი პირის პირ მდგომარე ილოცვიდის რამეთუ შიში  
დიდი და ზარი ფრიადი ყოველთა ზედა და ყოველნი ადიდებდ  
ეს ღმერთსა

**კვალად** ბრძანა მეფემან რათა ერთი ეკლესია აღაშენონ ერთ  
შეთს სადა იგი არს ფიცარი ფერხთა უფლისათა და ერთი ეკლესია  
მანგლის რამეთუ არს მუნ სამსჭვალნი უფლისა ესრეთ წარემა  
ტებოდა მეფე სარწმუნოებითა და გლახაკთ მოწყალეებითა და მღ  
უდელნი და მღვდელთ მთავარნი განმრავლდებოდეს ხ~ ნეტარმან ნი  
ნო იწყო ქადაგებად და თანა წარიტანა იაკობ მღვდელი და დიაკონი  
და ერთი ერის მთავარი ერითურთ მისით და დადგა წობენს და მოუწ  
1-21 სტრ., 19r

და მოუწოდა მთიულთა ჭართლელთა და ხონელთა და უქადაგა სარ  
წმუნოება ჭემმარიტი ხ~ იგინი ღმობიერ იქმნეს და ნათელ იღეს  
და დალეწნეს საკერპონი და აღაშენნეს ეკლესიანი და ამისა შემდგომად  
წარვიდა ერწოს და ჟალეთს და მოიყვანა იგინიცა სარწმუნოებად  
და ნათელ იღეს მათცა და მერმე შთამოვიდა კახეთს და დადგა კაწარე  
თს და მოაქცივნა იგინიცა

**მერმე გარდავიდა** ქუე დაბას და მოუწო

და მთავართა კახეთისათა ხ~ მათდა პირველვე უწყებულ იყო  
სარწმუნოება ქრისტესი და ნათლის ღება მეფისა და სიხარულით შეი  
წყნარეს სწავლა მისი და მოიქცეს და ნათელ იღეს ხელითა მასვე იაკობ  
მღვდლისათა და მუნით მივიდა ბოდბას და მოვიდა მისსა დედოფალი  
კახეთისა სუჯი და მის თანანი მთავარნი და მხედრები და მონა მხევალთა

სიმრავლე და წარმოუთხრნა მას ქრისტეს საიდუმლოსა განგებულება  
ნი და ასწავა სიტყვითა ტკბილითა სარწმუნოება ჭემმარიტი  
და სასწაულნი აუწყნა რომელნი იქმნებოდეს სვეტისა ცხოველისა  
რამეთუ მათდა წინასწარ უწყებულ იყო ხ~ მათ სიხარულით შეიწყნ  
არეს სწავლა ნეტარისა ნინოსი და ნათელ ილო დედოფალმან  
და ყოველთა მთავართა და მხევალთა მისთა და ვითარცა ესრეთ  
სრულ ყო ქადაგება მისი ნეტარმა ნინო და სრულ ყო ღვაწლი  
თვისი ეუწყა სულისა მიერ წმიდისა განსლვა მისი ხორცთაგან  
და მისწერა წიგნი მეფესა და მისცა დედოფალსა კახეთისასა სუჯის  
1-20 სტრ., 19v

რომელსა წერილ იყო ესრეთ **იესოს ქრისტეს მონასა და აღმსა**  
რებელსა წმიდისა სამებისასა და თანა შეერთებულსა წმიდათა  
მეფეთასა მეფესა მირიანს გარდამოგივლინოს უფალმან ცვარი წყალ  
ობისა ზეცით და ყოველსა პალატ ბანაკსა ერისა შენისასა და იყავნ  
მფარველ თქვენდა ჯვარი ქრისტესი და მეოხება ყოვლად წმინ[დ]ი  
სა დედისა მისისა რამეთუ აჰა ესერა მე მოვალ ზოგი რამეთუ ამის  
ქვეყნისანი და შეიწყნარეს ქადაგება ქრისტესი და მოიქცეს და ნათელ  
იღეს და თაყვანის სცეს დამბადებელსა ყოველთა და შენდა ჯერ არს სიხ  
არული რამეთუ დღეთა შენთა შინა მოხედნა ღმერთმან თვი  
სთა დაბადებულთა და აღმოაბრწყინვა ნათელი თვისისა მეცნიე  
რებისა აწ დაიცევით მართალი სარწმუნოება ქრისტესი რათა მის  
თანა სუფევდეთ საუკუნოდ სასუფეველსა ცათასა რამეთუ მე  
აჰა ესერა ვითარცა ერთი სოფლად შემოსრული განვალ ცხოვ  
რებისაგან და წარვალ გზასა მამათა ჩვენთასა ხსენებულმცა არს  
საუკუნოდ კეთილთა შინა ღვთისათა დედოფალი სუჯი რამეთუ  
მოვიდა ჭემმარიტსა ქრისტეს სარწმუნოებასა და მუსრნა კე  
რპნი და მოაქცივნა ერნი ღვთისა მსახურებად და მოუწოდა ძმასა  
და ასულსა მისსა და კვალად არტერეონ მთავარსა და ასწვა სარწმუ  
ნოება მართალი და ყოველთა ზოდეს შინა ნათელ იღეს სახე  
ლითა მამისა და მისა და სულისა წმიდისა

1-19 სტრ., 20r

ჩემდა წმიდა მამათ მთავარი რათა მომცეს საგ  
ზალი სულისა საუკუნოდ მოახლებულ არს აღსასრული ჩემი და  
მიიღო რა წიგნი იგი ნინოსი დედოფალმან სუჯი სურვილითა  
აღძრული თაყვანის ცემისათვის სვეტისა ცხოველისა თვთ  
მოსწრაფედ წარემართა რათა იხილოს და თაყვანის სცეს ცხ  
ოველსა სვეტსა და ჯვარსა ცხოველსა და ყოველსა მას სიშორისა

გზისასა ფრხივ ვიდოდა უხამური და ცრემლითა დაალტობდა ქვე  
ყანასა და ვითარცა მოიწივნეს პირის პირ სვეტისა ცხოველისა  
იხილეს იხილეს წყალი იგი არაგვი უმეტეს ზომისა დიოდა რომე  
ლი [ვოდოდეს] ვერვინ მხედართაგანმან წიაღვლო არამედ [არამედ]  
რომელიცა შთავიდიან გარევე უკან იქციან დაყენებულნი  
სიმძაფრისაგან წყლისა მისგან დიდისა ხ~ ვითარცა იგი  
პეტრე მიმავალი უფლისა წყალთა ზედა ვიდოდა ეგრეთ  
ვე ამან დედაკაცმან სავსემან სარწმუნოებითა ქრისტესი  
თა და სურვილითა სვეტისა ცხოველისათა და მინდობი  
ლმან სარწმუნოებასამან აღიბეჭდა თავი თვისი ჯვართა  
ქრისტესითა და აღხდა უნესა ხ~ ხედვიდეს იმიერ კერძო მთა  
ვარ ეპისკოპოზი იოვანე და ყოველი ერი და ვითარცა შევიდა წყა  
ლთა მათ შინა მართალ უკუნ იქცა მდინარე იგი ხ~ იგი განვიდა ხმელად მაშინ  
მოეგება მას მეფე და მთავარ ეპისკოპოზი

1-20 სტრ., 20v

შეპყრობილნი შიშითა და საკვირველებითა და შევიდეს ეკლე  
სიად წინაშე სვეტისა ცხოველისა და ილოცა ცრემლითა მხ  
ურვალითა და შესწირა თავი თვისი შვილითურთ და ყოველი  
მონაგები თვისი და ქალაქიცა იგი მცირე ბარათიანი და  
დაბა დიდი ბოდისა და იხარებდა სულთა

**მაშინ** გამოილო ნეტარი ნინოს წიგნი და მისცა მეფესა  
და წარიკითხა მეფემან და აღივსო ცრემლითა და აღდგა  
თანა წარიტანა მთავარ ეპისკოპოზი და დედოფალიცა  
ნანა და ვითარცა მიიწივნეს და მოიკითხეს მან მისცა მათ  
კურთხევა უფლისა მიერ ხ~ წმინდა ნინო შეპყრობილ იყო  
სნეულებითა და უბრძანა იოვანეს წირვა ჟამისა ხ~ მან  
შესწირა მსხვერპლი უფლისა და აზიარა ხორცსა და სისხლსა  
ქრისტესსა რომელი იგი წარიძღვანა მან საგზლად საუკუნ  
ოდ და შევედრა სული თვისი ხელთა ღვთისათა და წარვიდა  
საუკუნოდ კეთილთა ესრეთ შემკული მოციქულებისა მადლი[..  
და ბრწყინვალე ქალწულებითა და განშვენებული სიმრავლი[..  
წარუდგა წმიდასა სამებასა და მიართუა ძღვნად სიმრავლისა[..  
ერთანი და ღვაწლთა მიერ განკაფული სოფლისა ამისგან ს[..  
ევად აღვიდა ოცდა მეათხუთმეტესა წელსა ქართლს შემოსვლა  
სა მისისასა ხ~ დასაბამითგან ხუთიათას რვაას ორმოც მეთხუთმე

1-18 სტრ., 21r

სახლი მდაბი უფლისა და კვალად ათი სახლი მთავრისაგან

და ყოვლითა დედაწულითა მათითა და მოიყვანნა და დააშენნა ქართლს და თანა ყვეს კერპნი მათნი ლ~თად და ესე აზონ პირველი მეფე იყო ქართველთა და ამისთა შვილი შვილთაგან ოც და მერვე მეფე იყო მირიან რომელი მეფე იქმნა ქრისტეს აღმსარებელ და ქრისტეს მორწმუნეთა მეფე და ჩვენ შვილნი ვართ არიან ქართლითანი და ენა მათი უწყით და მეფენი ჩვენნი მათნის შვილის შვილთანი ხ~ ქართველთანი პირველ მსახურებდეს რომელნი მე ცეცხლსა და სხვანი მზესა და ვარსკვლავთა და თაყვანისცემდენ ძელთა ქუათა და ღვთად ხადოდეს ხ~ რა ჟამს მოხედვა ყო ლ~თნ ქართველთა ზედა ინება წმინდამან ღვთის მშობელმან რომლისა ნაწილნი ვართ და ნათელ გვიდიეს სახელსა ზედა მისა და ღვთისა მისისა ქრისტეს უფლისა ჩვენისასა მადლითა და შეწევნითა სასოსა მის ჩვენისა წმინდისა ღვთის მშობელისა დედოფლისა მარადის ქალწულის მარიამისათა არა ოდეს მიდრეკილა გული ჩვენი ურწმუნოვებად და სამეზისაგან წმინდისა ერთ ღვთაებისა ხ~ ბერძენნი მიიქცეს მსახურებად და კვალად წვალეებისა ღვარძ 1-19 სტრ., 21v

ღვარძლი შემოიღეს და კნინლა წარწყმიდეს და დაეცნეს ხ~ ჩვენ ესე კეთილი სარწმუნოვება რომელი მოგვცა ღმერთმან ნებითა და ჯერ ჩინებითა დედისა მისისას მტკიცედ გვიპყრიეს მეოხებითა წმინდისა ღვთის მშობლისათა ხ~ შემდგომად მირიანისა მეათე მეფე იქმნა ვახტანგ გორგასალ და ვიდრეღა ყრმა იყო იძულებით სპარსეთად წარვიდა და ქრისტეს სარწმუნოება კეთილად დაიცვა და შემდგომად რაოდენ სამე ჟამისა მოიქცა და მაშინ ჟამსა მას იყო მიქელ მთავარ ეპისკოპოზად და დააჯერეს ვითარმედ ვახტანგ ქრისტიანობა დაუტევა ხ~ მან ირწმუნა და მირავიდოდა ვახტანგ მოკითხვად მისსა წიხლი შეჰკრა და კბილნი შეჰლექნა ხ~ მეფემან ვახტანგ სიმშვიდით ღვთისათვის დაითმინა იგი და არა ბოროტი შეამთხვია გარნა გაგაზა ვნა მოციქულნი საბერძნეთს და ითხოვა მეფისაგან და პატრიაქისა კათალ იკოზი და მათ წარმოავლინეს პეტრე კათალიკოზად ხ~ ვახტანგ აღაშენა ქვემო ესე დიდი ეკლესია და დასვა მას შინა პირველად კათალიკოზად პეტრე ღირსი და მდაბალი დაამდაბლა პატივი სამთავროსა

**ამან** ვახტანგ აღაშენა ტფილისი და მცხეთა ქალაქი მუნ მიიცვალა ამანვე დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი და აღაშენა მას ზედა გოდოლი და დააყენა

1-18 სტრ., 22r

მას ზედა მცველნი მახლობელნი მის ადგილისანი და უწო  
და მათ კარად დარიალასა და აწ თვინიერ ბრძანებასა მეფისა  
ვერ ხელეწიფების გამოსლვად ოვსთა და ყივჩაყთა  
**ამან** ვახტანგ სძლო სპარსთა და დაიმორჩილნა რამეთუ  
იყო საზარელ და გოლიათ და განთქმულ ყოველსა ქვეყანასა რამე  
თუ იყო სიგრძე მისი თორმეტი მტკაველი და აწ საცნაურ  
არს იგი სამოსლისა და აბჯრისა მისგან ხ~ იყო ფრიად  
შემკულ ღვთის მსახურებითა დიდი ვახტანგ ხ~ მოი  
კლა იგი სპარსთა ბრძოლასა შინა მონა ყოფილისაგან  
მისისა რამეთუ იცოდა განახევი ჯაჭვისა ღლიასა ქვეშე და აღ  
იპყრნა რა ხრმალი თვისი რათა სცეს კაცსა სპარსთაგანსა  
მონამან მან ბოროტმან ჰკრა ისარი ღლიასა ქვეშე და ამით მოიკლა  
და ქრისტესთვის იწამა ქრისტეს მოყვარე იგი მეფე და არს სა  
ფლავი მისი წინაშე სვეტისა ცხოველისა ხ~ შემდგომად მისსა  
მოიწივნეს სპარსთაგან ქართველთა ზედა დიდინი ჭირნი და  
ფრიადნი სულნი მოსწყვიდნეს და ქვეყანანი დაიპყრნეს და მრავ  
ალნი იწამნეს ქრისტეს სახელისათვის რომელთანიმე წიგნნი  
აღიწერნეს და რომელთანიმე დაშთეს აღუწერელად გარნა

1-19 სტრ., 22v

ყოველნი აღწერილ არიან წიგნთა ცხოველთასა  
**ამისსა** შემდგომად გამოვიდა ჰერაკლე მეფე და შეერთნეს ქართველ  
ნიცა და შეუიდა სპარსეთს და შეწევნითა ღვთისათა შემუსრა  
სპარსეთი და ტაძარნი და ბომონნი მათნი და ხვასრო მეფე და ძელი  
ცხოვრებისა რომელი წარეტყვენა სპარსთა წარმოიყვანა და ძლ  
ევა შემოსილი შემოვიდა სამეფოდვე  
**ამისსა შემდგომად განეფინა ქადაგება** მუჰმედ შჯულოსა  
და მრავალი ერი შეუდგა მას შემდგომად მისა გამოვიდეს სპარსნი  
პონტომდე მოიწინეს და ყოველი კაბადუკია დაიპყრეს  
და ვითარ იგი იყო კურთხევა კათალიკოზისა ანტიოქიით არღარა ხელ  
ეწიფებოდა სვლად გზასა ანტიოქიისასა ამისთვის დიდი ზრუნ  
ვა აქვნდა ქართველთა ხოლო დღეთა თეოფილე ან ტიოქელი  
პატრიარქისათა წარავლინნეს მოციქულნი და მიუთხრეს ამის პირ  
ისათვის ხ~ თეოფილე ყო კრება საზოგადო და განაწესა რათა  
შეკრებოდინ ეპისკოპოზნი სამრელოსა მისისანი და აკურთხევდ  
ენ კათალიკოზსა [რომელიც] რომელიც სთნდეს მეფესა და ერსა და  
ამის პირისათვის დაწერა წიგნი დაბეჭდა და წარმოგზავნა ხ~

ვითარ იგი პირველ იყვნეს ასნი სოფელნი სასყიდლად მირონისა ამის წილ განუწესა ასი დრაჰკანი ხ~ შემდგომად  
1-5 სტრ., 23r

კვალად ეს ოდენი განაჩინეს რათა სახელით ოდენ მოიხსენებოდეს პატრიაქი ანტიოქელი ქართლს ესრეთ განაგეს ქართლისა ეკლესიათა წესი და ქცევა და ესრეთ არს ვიდრე დღეინდელად დღედმდე სადიდებელად მამისა ძისა და წმინდისა სულისა რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე ამინ